კლდე

№ 12

23 მარტი 1914 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა;

წლიური ფასი

= 3 მან. =

ყოველ კვირეული საზოგადოებრივ-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

წელიწადი მესამე

რედაქცია ღიაა 9—3 საათ.

მისამართი: ტფილისი, Габаевскiй пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: ტფილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი: 1. ახალი ბანკი. 2. ისევ ტერიტორიაზედ.— **რ. გ—ესი.** 3. დამის მშვენება.— **ლ. გარსიაშვილისა.** 4. ჩემი სამშობლო.— **დ. კასრაძესი.** 5. ბრუსა. 6. საჭირო ორგანიზაცია.— **დ. კახელისა.** 7 „ამაო შრომა და ოფლი“. **ეკალისა.** 8. კოოპერაციის მნიშვნელობა.— **ი. ირემაშვილისა.**

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ „კლდე“-ზედ.

ფ ა ს ი:	1 წლით.	3 მან.
	6 თვით	2 მან.
	3 თვით	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ

16-ს მარტს, ახალი კლუბის დარბაზში მოხდა პირველი ოფიციალური კრება ახალ ბანკის აქციონერების წარმომადგენელთა. ეს დღე ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს ჩვენს ცხოვრებაში, რადგან ამ დღეს ჩაიყარა, პირველად ოცი საუკუნის განმავლობაში, საძირკველი ერის, განსაკუთრებით ეკონომიური აღორძინებისა. საძირკვლად ჩაითვლება მარტო ის კი არა, რომ ბანკი არსდება, არამედ ის ახალი სული, რომელიც ტრიალებდა ამ ბანკის დამაარსებელთა შორის. ეს სული იყო სული ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს ა. პირველად მოვესწარით ასეთს ერთსულოვან კრებას, საცა არ იყო წარმოთქმული არც ერთი უბრალო მყვირალა სიტყვა, არც ერთი ფრაზა, ნათქვამი იმისათვის, რომ ვინმე გაეწბილებინათ, ან საკუთარი საორატორო ნიჭი გამოეჩინათ, ან ,,დემოკრატიული'' ლაყბობით ყურთა-სმენა წაეღოთ. ეს იყო დარბაისლური და მოკლე-სიტყვიანი სჯა-ბაასი განსაკუთრებით საქმეზედ; იმ დიდ საქმეზედ, რომელსაც ქართველობა ახლად ეკიდება, მაგრამ რომლის სიდიდეს უკვე ალლო აქვს ართმეული. მარტო ბანკის დაარსება მაიცა და მაინც სასიხარულოს ვერაფერს წარმოადგენდა თავისთავად, რადგან უკვე გვაქვს ბანკები და მოხმარება კი არ ვიცით მათი,—მაგრამ ახალი ბანკი ახალი შრომის სულით არსდება დღესა: აქ არ ლაყბობდა თავად-აზნაურული ფუქსავატობა, არ ჭიჭყინებდა მოინტელიგენტე „დემოკრატია"—აქ ბჭობდა საქმის და ფულის ხალხი, აქ იკვერებოდა ახალი საფუძველი ჩვენი ერის რეალური არსებობისა.

გაზეთებმა კიდეც ამცნეს ყველას, რომ ამ ბანკს ,,კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი'' დაერქმევა და რომ [illegible] მილიონამდე ექნება სააქციონერო თანხა და ზოგიერთი სხვა წვრილმანი, ამიტომ ამაზედ ალარ შევჩერდებით.—ჩვენ გვინდა მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ დღეს დღეისობით ძნელია ალნუსხვაც კი იმ მრავალფეროვან საქმეებისა, რომელთ აღორძინება და დატრიალება შეეძლება ამ მომავალს დაწესებულებას, თუ შემდეგშიაც მისი ინიციატორები და აქციონერები ისეთივე საქმიანობის უნარით და პრაქტიკულის მოსაზრებით იხელმძღვანელებენ, როგორც აქამდის და შეურყეველად გაუძღვებიან ა ხ ა ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს მძიმე უღელს; არ აჰყვებიან აქამდის გამეფებულს „თეორიებს" და მეოცნებეთ და მჭიდროდ იდგებიან ეკონომიურს, განსაკუთრებით ეკონომიურს ნიადაგზედ. ამის სრულ გარანტიას იძლეოდა 16 მარტის კრება და ბ-ნ დათეშიძესთან ერთად, რომლის შინაარსიანმა სიტყვამ დააგვირგვინა მოკლე და შინაარსიანი სხდომა, ჩვენც ვიტყვით: სალამი თქვენ, რომ ასე გულმხურვალედ და შეგნებულად გამოეხმაურეთ ახალს საქმეს, რომლის მეოხებით ველარავინ იტყვის, ვერც შინაური და ვერც გარეშე, რომ ქართველებს ს ა ქ მ ე არ შესძლებიათო. დღეიდან იწყობა ახალი ხანა, სრულიად ახალი, და ამცნეთ კიდით-კიდემდე თქვენს ამომრჩევლებს, რომ საერთო სურვილი დღეს იღებს რ ე ა ლ უ რ ს ა ხ ე ს.

ბ-ნ გოთუასაგან მოთხრილი მოკლე ისტორია ამ ბანკისა, კვირის კრება, იქ გამეფებული დარბაისლური მსჯელობა, იმავ დღეს დაწ-

ყობილი საორგანიზაციო კომისიის მოქმედება—ერთი სიტყვით, ყველა ნაბიჯი, დამოკიდებული ამ საქმესთან—ცხადი მაჩვენებელია, რომ ახალი ფორმაციის ხალხი გვებადგბა, ახალი ფორმაციის საქმე; და თუ გარდუვალი დაბრკოლებანი არ აგვეღობა წინა, შორს არ არის ის დრო, როცა სხვა ერებთან ერთად, ჩვენც შეგვეძლება ვსთქვათ: „არა მარტო ტკბილ ხმებისთვის გამოგვგზავნა ქვეყნად ცამა'' და ვაჩვენოთ კიდეც... ჩვენებს უფრო, ვიდრე უცხოებს, რომ საჭიროების დროს ჩვენცა გვაქვს უნარი მოქმედებისა.



ისევ ტერიტორიაზედ

მადლობა ღმერთს არ. ჯ—შვილი პრინციპიალურ ნიადაგზე შესდგა ტერიტორიალურ საკითხში და ეხლა გულდამშვიდებით შეიძლება მასთან ლაპარაკი. მართალია, დღესაც არ შეგვიძლიან ვსთქვათ, ჩვენ, – ჟურნალი „კლდე"—რომელ კატეგორიაში მოგვაქცია: პოლიტიკურ ლაქიებისა და ბოროტგანზრახველებისა, თუ გულწრფელად დაინტერესებულთა სიაში (თუ მხედველობაში მივიღებთ წინა კვირების წერილებს, ალბად პირველში), მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ დღესა გვსურს პრინციპიალურად დავარღვიოთ ყველა ის დებულება, რომელსაც დღეს იცავს არ. ჯ—შვილი ტერიტორიალურ საკითხში და დავამტკიცოთ, რომ უბრალო გაუგებრობა კი არა ხდება ფედერალისტთა და ახალ შეჯგუფებათა შორის, არამედ მეტად ღრმა განსხვავება ირკვევა და ამ **განსხვავების** ფარგლებში უნდა მოთავსდეს მთელი ქართველი ერის პოლიტიკური მრწამსი.

„ამ ნიადაგზე რომ დავსდგეთ, ბრძანებს არ. ჯ—შვილი, დაგვეკარგება ყოველგვარი კრიტერიუმი იმის გამოსარკვევად, თუ რა არის საქართველო. რად უნდა ჩავსთვალოთ საქართველოდ მხოლოდ თბილისის გუბერნიის სადავო (?) მაზრები და არა მთელი ამიერ-კავკასია, დაწყებული შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. იყო დრო, როდესაც საქართველოს საზღვარი დარუბანდამდე მიდიოდა. თქვენ შეგიძლიანთ, თქვენი მადის მიხედვით, ასე მოითხოვოთ, მაგრამ ვინ არის ყურის დამგდები ან რა ძალის წემწეობით გინდათ საქართველოდ გამოაცხადებინოთ ის, რაც საქართველო აღარ არის".

ეს გრძელი ციტატა რომ გავასადაოთ, ასე ითქმის: ჩვენს გარეშე მდგომ და მოკამათე ჯგუფებს არა აქვთ **კრიტერიუმი** საქართველოს საზღვრებისათვისაო და არც ძალა აქვთ რომელიმე საზღვრების აღსადგენათაო. პირველი ნახევარი ამ მოსაზრებისა ლიტონი მტკიცებაა, რადგან შეუძლებელია ეკამათო მოპირდაპირეს იმის შესახებ, რაზედაც მას ან ხმა არ ამოუღია, ან თუ ამოუღია, სწორედ **გარკვეული პოლიტიკური კრიტერიუმი** მიუღია მხედველობაში. მეორე ნახევარი ციტატისა უფრო სუსტია ლოლიკურად, რადგან „ყურის დამგდებთა და ძალაზედ" ლაპარაკი სულ მეტია: განა ფედერალისტებს ჰყავთ ყურის დამგდები, ან დღესვე, ან ხვალ, ან ახლო მომავალში იმედი აქვთ რაიმე **ძალებისა**, რომ ავტონომიას მოიპოვებენ? მაგრამ ეს **ძალა იკვერება** და აი სწორედ ამ ძალთა გამოკვერაში, ანუ უკეთ, ამ პოტენციალურ ძალის კინეტიურად ქცევაშია საქმე.

თუ ქართველ ერის გულში არ არის რეალური პოტენციალური ძალა ავტონომიის მოსაპოვებლად; თუ ამ ერის გარეშე ობიექტიური პირობანი არ შეუწყობენ ხელს ამისათვის, „სახალხო გაზეთის", „კლდის'' და სხვათა ღაღადისი და კალმების ტრიალი—ვერავითარ ძალას ვერ შეჰქმნიან, ვერ გამოსჩეკავენ. საკითხავია ახლა, რა გზით უნდა გაუსინჯოთ კბილი საქართველოს, როგორც პოლიტიკურ ორგანიზმს, რომ შევატყოთ თუ რა **ძალაა** მის ხელში. კამათი იმაზედ, რომ ყველა ხალხს მარტო **იმდენი** ძალა აქვს, რამდენიც მის **რეალურ** ძარღვებში და ფარგლებშია მოქცეული—უბრალო დროს დაკარგვაა. ეს ასეა, რასაკვირველია, მაგრამ როგორ უნდა გვესმოდეს **რეალური ფარგლები**. თუ მივიღებთ მხედველობაში ,,სახალხო გაზეთის'' პრინციპს **რეალურ მოსახლეობისას**, მაშინ უნდა მივიღოთ ,,ნოვოე დელოს'' მოსაზრებაც, რომ მაშინ საქართველო **აღარ არსებობს**, რადგან ჩვენს დედა ქალაქ თბილისში უკვე რეალურ უმრავლესობას აღარ შევადგენთ; გორის მაზრა სავსეა ოსებით და სომხებით, რომელნიც ნახევარს თუ არა სჭარბობენ, ნაკლებნი არ არიან; კახეთში ძალიან ბევრია სომხობა და სხ.; იმერეთში შავი ზღვის ნაპირები სხვათა ხელშია და სხ. ისე,

რომ **მთლიანი** ტერიტორია ამ უცნაური პრინციპის მიხედვით **აღარ არის**, ესეც არ იყვეს — რეალური მოსახლეობა **ცვალებადია** და როცა ამაზედ მიგვითითებენ, აქაც **გარკვეული საზღვარი** უნდა დავიდონ. თუ ჩვენგან მოითხოვენ გარკვეულ **საზღვარს გარედ გაწევის** მხრით, უნდა აგვიჩვენონ **შიგნით შეკუმშვის** საზღვარიც; თორემ რადგან ასეთი საზღვარი არამცთუ სახელმწიფოებრივი უფლებით და ძალით არ არის დაცული, არამედ პირიქით, ამ საზღვრებს რეალური ძალა უცხო კაპიტალისა, უცხო პოლიტიკურ მისწრაფებისა **ავიწროებს** — ჩვენ გარანტია არა გვაქვს რომ **რეალური მოსახლეობა** მაგ. სომხებისა ხვალ გორის მაზრაში არ იქნება, რუსებისა კახეთში და სოხუმის ოლქში, და სხ.

აი თუნდა ახალი ფორმაციის რ ე ა ლ უ რ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ავიღოთ: ბორჩალოს, ახალქალაქის და ახალციხის მაზრები რეალურად ქართველებით იყო დასახლებული უკანასკნელ დრომდე და, წარმოიდგინეთ, 1900 წლების დასაწყისში შედგენილი რუკა **ფედერალისტებისა** (რომელნიც ალბად მაშინაც რეალურ მოსახლეობის პრინციპს ადგნენ), ამ მაზრებს საქართველოს საზღვრებში აქცევდა — ისინი არ გარბოდნენ კასპიის ზღვამდე ან დარუბანდამდე, როგორც ეჭვობს არ. ჯ შვილი. მაგრამ გაიარა ათი წელიწადი (ერის ცხოვრებაში ეს ერთ წამსაც არ შეადგენს) და მეორე წარმომადგენელი ფედერალისტებისა ახალ რუკას ადგენს, სადაც ეს დასახელებული მაზრები აღარ შედიან. ჩვენ აქ აღარ გამოუდგებით იმას; თუ ეს ახალი რუკა რამდენად შეეგუება თვით მათგან აღიარებულ რეალურ მოსახლეობის პრინციპს, რადგან ამაზედ კიდევ გვექნება ლაპარაკი, — მაგრამ ვსთქვათ ყველა ეს **მართალია**, და ჩამოთვლილი მაზრებში ჩვენ, ქართველები, უკვე უმცირესობას შევადგენთ. რას გვიჩვენებდა ეს? — მარტო იმას, რომ ხვალ შესაძლებელია, ამ პრინციპით თბილისს მოადგნენ. ზეგ გორსა და თელავ-სიღნაღსა და ჩვენ კიდევ ახალი რუკა უნდა გამოვიჭრათ ქართულ ტერიტორიისათვის. ასეთი სიარული პოლიტიკური პარტიისათვის მოუხერხებელია.

როდესაც ს.-დემოკრატები ამბობენ ტერიტორიალური საკითხი ქართველებისათვის — ეს აგრარული საკითხიაო ეს გვესმის, რადგან მათთვის ტერიტორიალური საკითხი არ არსებობს ვითომ (გარეგნულად მაინც ასე აცხადებენ), მაგრამ როდესაც ა ვ ტ ო ნ ო მ ი ს ტ ე ბ ი ამაზედვე ჩაიჭყავთ საკითხი და მარტო ურჩევენ გლეხობას, თ.-აზნაურობის მიწა შეიძინეთ და ამით გამაგრდითო — ეს ამტკიცებს რომ ნამდვილი, პოლიტიკურად შეგნებული საკითხი **ტერიტორიალური** — მათ **არ იციან** რას ნიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღა თქმა უნდა, რომ ყოველგვარი ჯგუფი, საქართველოში მომქმედი, ვალდებულია უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ი ყურადღება მიაქციოს აგრარულ საკითხს; პოვალდე დარღვეული მიწათ-მფლობელობის ნანგრევებზე აღმოაცენოს ახალი მეურნეობა ახალ პატრონთა ხელით დამუშავებული, ე. ი. რაც შეიძლება მეტად შეუწყოს ხელი მიწის **გადასვლას უნიათო თავ.-აზნაურობისაგან გამრჯელ გლეხობასთან** — მაგრამ ეს საბოლოოდ ხომ ვერ გადასწყვეტს **ტერიტორიის** საკითხს და ჩვენ გვიკვირს არ. ჯ შვილი, როგორი **პოლიტიკური** მოსაზრებით გვითითებს ამ მხრისაკენ? ან რა საჭიროა ამაზედ **ჩვენ** მოგვითითონ, როდესაც ეს **უპირველეს** ჩვენ საზრუნავ საგანს შეადგენს.

ამავე დროს, აგრარულ საკითხთან **ერთად** ჩვენი პოლიტიკური მოსაზრება სულ სხვა მხარესაა მიმართული — სახელდობრ ტ ე რ ი ტ ო რ ი ი ს დაცვისაკენ და აღრევა ამ ორ მოსაზრებათა — პოლიტიკურისა და აგრარულისა — შეცდომა იქნებოდა.

თუ მივიღებთ მხედველობაში შინაგან განწყობილებას ჩვენი ერისას, მის გეოგრაფიულ და ეტნოგრაფიულს შემადგენლობა-მდებარეობას და ამასთანავე **უმთავრესად** მის **ისტორიულ** საზღვრებს, ჩვენ უნდა ვაღვიაროთ საქართველოს ავტონომია იმ პოლიტიკურ-ტერიტორიალურ ფარგლებში, რა ფარგლებშიაც იგი შეუერთდა რუსეთს, რადგან მარტო ეს საზღვარია ის საზღვარი, საცა **შეიცვალა** ჩვენი **პოლიტიკური** მდგომარეობა. რაც მოხდა იმის შემდეგ — ე. ი. რაც რეალურად ხდებოდა ეს უბრალო ძალმომრეობაა და არა პოლიტიკური ვითარება პოლიტიკური ორგანიზმისა. დღეს, რასაკვირველია, ჩვენ ძალა არა გვაქვს მოვითხოვოთ აღდგენა ინტერნაციონალური სამართალისა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ **თავათვე** უნდა მოვისპოთ ამის უფლება. ხვალ შეიძლება ჩემი სტუმარი შემოიჭრას სახლში, მომტაცოს ავეჯი, დამიქციოს სასმელ-საჭმელი, შემილახოს საოჯახო ადათები, შეიძლება ის ჩემზედ ღონიერი გამოდგეს, მაგრამ ეს კი არა ნიშნავს, რომ მე თვითონ ეს დავაკანონო და ვსთქვა: მე ძალა არა მაქვს და ამიტომ ჩემს უფლებაზედაც ხელს ვიღებ — ეს მონური ფსიხოლოგია იქნებოდა. არა, დეე მე დამძალონ,

მაგრამ სამართალს და ჩემს უფლებას საიქიომდე ვეძებ.

თუ საიქიო არის, იქიდანაც მოვითხოვ ჩემი ერისათვის **პოლიტიკურ** სამართლიანობას. ჩვენ არ ვეძებთ სამართლიანობას იდეალურს, ფილოსოფიურს, რადგან ეს სულ სხვა კატეგორიის მოვლენაა და პოლიტიკაში **ამ მოსაზრების** წამოყენება არამცთუ უტოპია, სიბავშვეც აღარ არის - ეს უნიათო გულუბრყვილობაა. ასეთს სამართალს ჩვენ სულ სხვა მხარეს მოვძებნით—შინაგან საქმეებში, და პოლიტიკაში ჩვენ ვეძებთ **უფლებას**. ჩვენი უფლება კი, როგორც ერისა, განსაზღვრულია საერთაშორისო კანონებით, განსაზღვრულია იმ პოლიტიკური ხელშეკრულობით, რომლითაც საქართველო შეუერთდა რუსეთს. ეს უფლება შეურყეველია იურიდიულ პოლიტიკურად, და მისი დარღვევა არც ცალკე სახელმწიფოს შეუძლიან, არც ცალკე ერს.

აი თუ ამ პოლიტიკური აქტიდან გამოვალთ, მაშინ ცხადია მეტად **გარკვეულად** მოიხაზება ჩვენი ტერიტორიალური საზღვრებიც, და ჩვენი პოლიტიკური მრწამსიც. მაშინ არავის ექნება უფლება შესთხზას ჭორი, რომ ნაციონალისტების „მადას“ (?) კრიტერიუმი არა აქვს და... დარუბანდამდე ან ტრაპიზონამდე უნდათ სიარული, როგორც არავისა ჰქონდა უფლება იმ ჭორის გავრცელებისა, რომ ავტონომისტებს ბატონ-ყმობის გავრცელება უნდათ.

როგორც მკითხველი ხედავს ჩვენი კრიტერიუმი მეტად მარტივიც არის და მეტად ნათელიც და თუ ჩვენსა და ფედერალისტებს შორის განსხვავებაა—ეს ტერიატორიალურ საკითხში გამოურკვევლობა კი არ არის, არამედ სწორედ მკაფიოდ გარკვეული ჩვენი საზღვარი, რომელსაც ფედერალისტები ათი წლის განმავლობაში ცხრაჯერა **სცვლიან**. და როცა არ. ჯ—შვილი ასე გაბედულად ამბობს (იხ. „სახ. გაზ.“ № 141), რომ ადმინისტრაცია-ბიუროკრატიის პროექტს, გუბერნიების გადამიჯვნისას ჩვენ მხარს არ უჭერთო—ან უნდა თ ა ვ ხ ე დ ო ბ ი თ მოსდიოდეს, ან უ ც ო დ ი ნ ა რ ო ბ ი თ — არჩევანი მისთვის მიგვინდვია, მაგრამ ჩვენ **უტყუარი** საბუთები გვაქვს, რომ ფედერალისტების ერთი ნაწილი არამცთუ მხარს უჭერდა **ამ** ბიუროკრატიულ პროექტს, არამედ უფრო შორსაც მიდიოდა. საბუთიანად უარჰყავით ეს გარემოება და დაამშვიდეთ ყოველი შეგნებული ქართველის სინიდისი, თორემ თავს იმით ვერ იმართლებთ რომ ეს ცილისწამება და ჭორიაო.

ჩვენ მოწამენი ვართ, რომ ხიზანთა საკითხშიაც თქვენ მხარი დაუჭირეთ ბიუროკრატიულს და დემოკრატიულს (?) პროექტს და ცარიელი განცხადებებით ეხლა აღარავის უკვირდება გულ[illegible]

რაღა თქმა უნდა, ფედერალისტები და ბიუროკრატია **სხვა და სხვა მოსაზრებით** ხელმძღვანელობენ, მაგრამ შედეგი **ერთი და იგივე** გამოდის და აი რაზედ უთითებდით ჩვენც და „იმერეთიც“ და გაქარწყლება იმისა, რომ ბიუროკრატია და ავტონომისტები ერთი მიზნით არ არიან გამსჭვალულებით სრულიად მეტია, რადგან ასეთი ბრალდება ჯერ არავის მოსვლია ფიქრადაც.

მეორე, უფრო მართლაც კომიკური, ვიდრე დარბაისლური „აზრი“ არ. ჯ—შვილისა იმაშია, რომ ვითომ ვინმე აბრალებს ჯ შვილს ან ფედერალისტებს, რომ ისინი ტერიტორიას სხვას **აძლევენ** და თავს მართლულობს: „ჩვენ ხელთ სრულიად არაფერი არ არის და ამიტომ არაფრის გაბოძებაც არ შეგვიძლიანო. ესეც რომ არ იყვეს, ჩვენთვის რწმუნებულება არავის ჩაუბარებია რომ საქართველოს ტერიტორიით ვივაჭროთ“. ტრაგიზმი ქართველი ერისა კი არა, ფედერალისტებისა, სწორედ იმაშია, რომ მათ ხელთ არაფერია, რწმუნებულება არავის ჩაუბარებია და **ერის სახელით** კი ლაპარა**კობენ იქ, საცა ჯერ არის** და საცა **ჯერ** არა **არის**. და როცა გაზეთში სწერია, „სახალხო გაზეთი“ ჩვენს ტერიტორიას სხვას **აძლევსო**—ეს მარტო მეტის-მეტად გულუბრყვილო შეუძლიან ასე გაიგოს—ვითომ „სახალხო გაზეთს“ **შეეძლოს რისიმე ფაქტიურად გაცემა ან გადაცემა** - არა, ბატონებო, ეს მათი, „სახალხოელების“, იდეა არის მხოლოდ და ღვთის მადლით ჯერ საქართველო ისეთ პოლიტიკურ ორგანიზმს არ შეადგენს, როცა რომელიმე მცირე ჯგუფს შეეძლოს ტერიტორიის გადაცემა. ყველა კერძო ქართველს, უფლება აქვს თავისი მამული გაჰყიდოს უცხოზედ, თუ გათახსირებული სულის კვეთება ნებას მისცემს, მაგრამ ჯერ არ არსებობს ის პოლიტიკური კავშირი ერისა, რომელსაც ტერიტორიის ნაწილის გაცემისა თუ შემოერთების უფლება ჰქონდეს.

(შეუძლებელია კამათი უბრალო ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს მნიშვნელობაზედ მაშინ, როცა სადაო საკითხი პოლიტიკური შემეცნებაა).

მესამე მოსაზრება არ. ჯ—შვილისა იმაშია, რომ თურმე დიდი სახელმწიფონიც იღებენ ხელს კოლონიზატორობაზედ და შინაგან გაუმჯობესებაზედ ფიქრობენ და ჩვენ მით უფრო გვჭირია ეს. ჩვენ არ ვ-

ცით, ხუმრობს, თუ ნამდვილად ასე ფიქრობს არ. ჯ—შვილი, როცა საქართველოს მდგომარეობას ადარებს დიდ სახელმწიფოთ და ამ შედარებიდან დაასკვნის რასმე?

კოლონიზატორობაზედ იღებს თუ არ იღებს ხელს დიდი სახელმწიფო—აქ რა მოსატანია? ჯერ ერთი სახელმწიფოები თავის კოლონიზაციას ამყარებენ **ძალაზედ**, მეორეც მათი კოლონიზაცია მიმართულია **სხვა** ერთა ტერიტორიაზედ და თუ ამაზედ ხელს იღებენ, არა იმიტომ რომ სამართლიანობის ან რეალურ მოსახლეობის პრინციპს მისდევენ, არამედ იმიტომ რომ **ძალა არ შესწევთ**. ჩვენი მდგომარეობა კი **სრულებით** სხვაა: ჩვენი კოლონიზაცია დამყარებულია განსაკუთრებით კულტურულ მოქმედებაზედ, ე. ი. ბუნებრივ გადასახლებაზედ და მეორეც,არა **სხვის** ტერიტორიაზედ,არამედ ჩვენს საკუთარზედ, საიდანაც **ძალი ი** სხვამ მოგვგლიჯა და კიდევაც გვგლეჯავენ. უცნაური სიბავშვე იქნებოდა გვეფიქრნა, ახლანდელს პირობებში, და ნაცარტუტა აგვედინა „კლდეში“ ან „სახალხო გაზეთში“, რომ ბორჩალოს, ახალქალაქის და სხ. ჩვენი მაზრები უნდა დავიპყრათ ძალითაო, ან სხ. *) ყამთავითარებით, მაგალითად ელზასლოტარინგია, ფრანგებით დასახლებული, გერმანიას უჭირავს ძალით და ერთ დღეს თუ გერმანიამ ფრანგები აიძულა გადასასახლებლად (მაგ. იმავ ოსმალეთში, საცა ჩვენი ქართველი მაჰმადიანები გადასახლდნენ) და გერმანელები ჩაასახლა, „სახალხო გაზეთი“ რეალურ მოსახლეობის პრინციპს გამოეკიდება და ფრანგებს ეტყვის: ხელი აიღე შენს ელზას-ლოტარინგიაზე, რადგან გერმანიამ იქ გერმანელები ძალად დაასახლაო. ესეთი ლოლიკა შესაძლებელია რომელიმე შეუგნებელი ქურთის ან კალმიკისაგან, მაგრამ ეროვნულად გამორკვეულ ხალხისაგან?— ეს რაღაც „ნაკლის“ ბრალია, „ხატისაგან არისო“, კაცი იფიქრებს.

რაც შეეხება იმას, თუ პრაქტიკული მუშაობა რაზედ უნდა იყოს მიმართული, სახელდობრ იმაზედ რომ მიწა არ იყიდებოდეს უცხოელებზედ— ეს სულ მეტია, რადგან ეს განა საბუთია **ჩვენი**, „სახალხო გაზეთის“ მოწინააღმდეგეთა, გასამტყუნებლად? მკითხველს შეუძლიან იფიქროს, რომ ჩვენ ამას არა ვკდილობთ და მაშინ, როდესაც ეს უპირველეს საგანს შეადგენს ჩვენი მოსწრაფებისას და სწორედ ამას ვსთვლით იმ პლატფორმად, რომელზედაც შეთანხმებით შეგვიძლია მოქმედება არა მარტო ფედერალისტებთან, სოციალ-დემოკრატიასთანაც - არ. ჯ—შვილი ისე სწერს, თითქო ის ქადაგებს ამას, და ჩვენ კი უარვყოფდეთ და ამით შეცდომაში შეუძლიან შეიყვანოს მკითხველი: ,,განავითარეთ სასოფლო მეურნეობა, შეეცადეთ ხალხის ეკონომიურ აღორძინებას და ამით დაიცავით საქართველოს ტერიტორია''. არ შეიძლება, მოწინააღმდეგემ ჩვენი საქმე, სიტყვებით **ასწეროს** და ეს გამოაცხადოს როგორც **თავისი რჩევა**—ეს უბრალო მასლაათი იქნება და არა პოლიტიკურ - სოციალური მოსაზრებანი, რომელთაკ თქვენ ხალხს ურჩევთ. ბოლოს ისე დაასკვნის ბატონი ჯ—შვილი, რომ ობიექტიური პირობანი ისეთნი არ არიან, რომ ქართველებმა კოლონიზაციაზედ იფიქრონ, როდესაც საკუთარ (?) მიწაზედ ვერა მაგრდებიანო. და როცა ისე მომაგრდებიან, რომ საკოლონიზაციოდ გაიწევენ, ჩვენ ამის წინააღმდეგ ვერაფერს გავაწყობთო. ეს განმეორებაა იმ ბავშვური მოსაზრებისა, რომელიც ჯ—შვილმა გამოსთქვა ხიზანთა საკითხზე მსჯელობის დროს: დეე წაიღონ ყველაფერიაო, და როცა ჩვენ მოვმაგრდებით, უკანვე დავიბრუნებთო. არ. ჯ—შვილს ტერიტორიის გაცემ-გამოცემა უთუოდ სკოლაში ნათამაშევ სალიკმალიკივით უბრალო საქმე ჰგონია, თორემ როგორ შეიძლება ვიფიქროთ ,,პოლიტიკურად აღზრდილი'' ადამიანი არა გრძნობს ამ არგუმენტის სისუსტეს. როდესაც დღეს, როცა ჯერ არ გამოაქრალა ჰაერიდან ჩვენი ისტორიული უფლება, მოურიდებლად გვტაცებს მიწას ბიუროკრატია, როდესად დღეს, როცა ჯერ კიდევ ვერ წაუშლიათ სახელი ,,საქართველოსი'',—სომხები მოურიდებლად გვიცხადებენ ომს და თავის ნაციონალისტური აზროვნობით იდეაშიაც კი სპობენ საქართველოს („Новое дѣло“, იშხანიანი და სხ.), განა შესაძლებელია ლაზღანდარაობა: შემდეგ ჩვენ ყველაფერს დავიბრუნებთო? ეხლა ჩვენ **ვიგერიებთ** მტრებს და **ისინი** შოვინიზს გვწამებენ,ეხლა ჩვენ **ჩვენსას** ვიცავთ და **ჩვენივე საკუთარი** პარტიები ჰგმობენ ამას და როდესაც ქართველობა ისე მომაგრდება, რომ ვითომ თავის

*) ეს წერილი შეკვეთილი იყო, რომელიც ჯ—შვილმა უარი განაცხადა 20 მარტის ეფემერში, ვითომ ეთქვას, რომ ,,ამისთანა პროექტების განსახორციელებლად, საჭიროა, სულ ცოტა რამა ვსთქვათ, გერმანიის ოდენა ძალა მაინც''. თუ გავიწყდებათ, წაიკითხეთ ძველმე ხელმეორედ.

რ. ბ.

საზღვრების გარეთაც გაიწევდეს—მაშინ რაღას იზავდნენ ან მტრები ან „მეგობრები“? მაშინ გვიანლა იქნება, რადგან სწორედ მაშინ იქნება საჭირო გერმანიის ოდენა ძალა და ნამდვილი ხელჩართული ომი, იმ ტერიტორიის დასაბრუნებლად, რომელიც უკვე სხვას ეჭირება. ჩვენ კი ამ ძალების არც იმედი გვაქვს და არცა გვსურს როდისმე ასეთ მდგომარეობაში ჩავცვივდეთ, რადგან ჩვენი პრინციპია: **„საქართველო** ქართველებისათვის“ და არა საქართველოს ყველა სხვა ენაცვალოსო, როგორც, გვწამებენ ფედერალისტები და სხვა სოციალისტები.

რეალური მოსახლეობის პრინციპი კი, პოლიტიკური პრინციპი არ არის, ეს ზღაპარია; ნამეტნავად ჩვენს განსაკუთრებულ პირობებში, როდესაც ჩვენს საკუთარს რ ე ა ლ უ რ მ ო ს ა ხ ლ ე ობ ა ს საზღვრები გაესნილი აქვს და ყველა ვიგინდარას შეუძლიან ხვალ ნახევარ საქართველო იყიდოს, როგორც კერძო საკუთრება, უცხო ტომი ჩაასახლოს და ამით ძირიანად შესცვალოს რეალური მოსახლეობა. ასეც სჩადის ბიუროკრატია, ასე სჩადის სომხობა და მარტო ჩვენი „პოლიტიკური“ პარტიები ვერ ამჩნევენ ამას. ვერ ამჩნევენ კი იმიტომ, რომ მათ გონების თვალზედ გადაფარებული აქვთ „უმაღლესი სამართლიანობის არა პოლიტიკური პრინციპი — იდეა სოციალიზმისა“, რითაც შეტად ჭკვიანურად სარგებლობენ ჩვენი მტრები.

რ. გ.

ღამის მშვენება

ნუ გიკვირს, რომ ამ უფერულ, ულამაზო ყვავილს ღამის მშვენებას უწოდებენ და მითი ამაყობს მთელი აღმოსავლეთი. ეური მოშაბუარ, შეგობარო, და გიამბობ ამის თავგადასავალს.

ერთხელ, სადამო ყამს, ეოგლად შემძლე ბუდა გამობრძანდა სამყაროს დასათვალიერებლად. მთელი ბუნება აღფრთოვანებული თავისი შემოქმედის ნახვით, უგალობდა ჰიმნს.

გაისმოდა მომხიბლავი სტვენა ბულბულისა. ტალღი წყაროც არაკრაკებდა თავის წკრიალა ხმას. მათ ბანს აძლევდა მთელი არე-მარე. თვითეულ ძარღვში ბუნებისა გაისმოდა უდრმესი მადლობა შემოქმედისადმი. მაგრამ გულთა-მხიდავმა ბუდამ გაარჩია მათ შორის ერთი ნაღვლიანი, თითქმის წყროვის ხმა. ეს ბატარა, ულამაზო ბუჩქი შეჭლაფადებდა ბუდას თავის უბედურებას. მიეხვდა გულთა-მხიდავი ბუჩქის გულის წყრომას. მისი ბრძანებით იმ ბუჩქმა გამოიბა მშვენიერი ყვავილი. ყვავილმა ნაზად, მაგრამ მასითანვე ამაყად მიმოიხედა. ეცა თვალი მოჰკრა ცის სიფრეზედ მოციმციმე ვარსკვლავს. მისი ნაზი სხეული დაეცა ყვავილს [illegible] აუძგერა, დაავიწყა ეოგლიეე. იგი ვერ ამჩნევდა ვერც მისი სიდამაზით აღტაცებულს არე-მარეს, ვერც გულსაკლავად მეეფარს, მისგანვე დაგოდილ იადონს. ყვავილისთვის ადარაფერი არსებობდა მთელ სამყაროში, მოციმციმე ვარსკვლავის გარდა.

ვარსკვლავმა ნაზად, თითქოს მორცხვად ჩაჭხედა მას თვალებში და მისი ნაზი და მორცხვი სახე საუკუნოდ ადიბეჭდა ყვავილის გულში. მთელი დამე ერთმანეთის ალერსში და ტკბილაში გაატარეს. გათენების ჟამს ვარსკვლავი მიიმალა ცის კიდეს. წასვლისას ნაზად გადასძახა ყვავილს: „არ დამიგიწყო ღამის მშვენებავ!“

„ღამის მშვენება“! გაისმა მთელ სამყაროში. ეს სახელი უწოდეს ყვავილს. მაგრამ მას არც კი გაუგია. იგი მისწერებოდა იმ ადგილს, სადაც ვარსკვლავი მიიმალა, თითქოს ჭლაშობდა სიფრეის თვალით გარდგევას, რომ დაეხახა თავისი სატრფო.

მალე ცის კაბადონზედ გამოჩნდა ბრწყინვალე მზე და მის მძლავრ სხივებში გაეხვია მთელი ბუნება. ყველა აღტაცებით მიეგება მზის ამოსვლას. მხოლოდ ღამის მშვენებამ ნაღვლიანად ჩაჭკიდა თავი, მთლად შეიკუმშა, ფერი დაჭკარგა. მას არ ახარებდა მზის ამოსვლა.

მას აქეთ ეს ყვავილი დღისით ასე ულამაზოდ, დაბეჩავებულად გამოიყურება, მაგრამ რა დადამდება და დაინახავს მოციმციმე ვარსკვლავს, მშვენიერად იფურჩქნება და მაშინ მას სილამაზით ტოლი არა ჭყავს მთელს ქვეყანაზედ.

ლ. გარსიაშვილი.

ჩემი საშობლო

(დასასრული).

იქ, იმ ქალაქში, ცხოვრების ტალღების მიმოქცევამ მრავალ ჩემისთანას მოუყარა თავი. ყველანი ჩემებრ დალონებულნი იყვნენ, ისინიც სწყუდნენ, ისინიც ოცნების ოვალით გაჭყურებდნენ საშობლო კერის ნაგთსაყუდარს, სადაც მათი შშობლების დანდნი მანდილს უქნევდნენ, დასაბრუნებლად ეპატიჟებოდნენ. მაგრამ დრომ თვისი მოიტანა. ნელ-ნელ ერთმანეთს შეეჩვეოდნენ. ამიერიდან ჩვენ გვქონდა საზოგადო ჭირი, საზოგადო

ლხინი. წიგნების სრიდა, ისმაშობა, მაგრამ ადრიანვე სიცოცხლის შებოლვა ჩვენი უფროსებისგან... ოჰ, ეხლაც კი უნებურად ვფიქრობ, რადგანაც გამახსენდება ამ დროინდელი ცხოვრება ნორჩ სულთა საჯალათოში. რაგორ სიცოცხლითვე გვაკლავდნენ, რაგორ გვასიხიბრებდნენ! არა, წარმოუდგენელია, წარმოუდგენელი! თმა ყალეს მიდგება... ავწერო ბოროტებები? არა, არა, არ შეშიძლიან, თუმცა მათი სურათების ფაქსიმილე წარუშლელად აღბეჭდილია სიადუმლო ჩემს ხსოვნის ყუთში. ვიტყვი მხოლოდ, რომ ერთი ორის გარდა დაწყებული უფროსი ჩაღამხედველიდან და გათავებული ვალურ მოსამსახურე ზენობით, ყველანი სიტრაბეს წარმოადგენდნენ. ზენო, ეს ადმასრულებელი ძალა, ნარეული ოსი გახლდათ და მარადა სულ ნარზე იჯდა, რომ მოთვალყურის განკარგულებით ეს თუ ის დასასჯელი მოწაფე ქობრით აეფხოწიალებინა და ცივ კარცერში გამოეშწყვიდა. ოჰ, რამდენი სურათები მეძლება თვალწინ! აი, უდანაშაულოდ დასჯილი ბატარა გიორგი, რომელმაც თედორ კუზმიჩის ოინების ვერ გაუძლო, ბრატესტი განუცხადა, რის გამოც ზენო მოიწვიეს გამოსაძიებლად. მაგრამ გიორგი დაუსჯელი და ქუდმოგლეჯილი მტკვრისაკენ გაქანდა და მიგ შეა ტალღებში გადაერია. კიდევ კარგი, რომ დაიჭირეს და გადარჩინეს. მაგრამ მას იმის შემდეგ ადარ უსეირნია ჩამოდინა, დღითიოდღე სევდამ დაეჭვნა და თან წარიტანა მავ სათვალეში. აი, კოტე, ჩვენი კორეზინა, მეექვსე საუკარელი და ალერსიანი ბავშვი, რომელსაც კარცერი არ აკმარეს და ეიფეს ქცევაში სამი დაუსვეს მხოლოდ იმიტომ, რომ მოთვალყურეს... ნეტარხსენებულ ლაბუას... მისაგის მაესწრო, რომ... დასასრულისთან გამურვიანობაზე ბანქოს თამაშობდა. კოტეს შურის ჩამოწმენდა ვერ მოესწრო, ტირილით შეჭვედრებოდა, ნუ დამაბეზღებო, მაგრამ ლაბუა ულმობელი გამოდგა და დასმინა სადაც ჯერ არს, რა. ამოტ სასჯელი ვერ აიცდინა თავიდან. აი, ჩვენი ვასოც. რომელსაც თინიკამ თავზე ბიბლიის წიგნი დასცხო მხოლოდ იმიტომ, რომ „აცხოვნე უფალო ერი შენი“-ს გალობის დროს ტონი შეშალა. აი, ეს ვასოც... მაგრამ არა, რა დროს ჩამოთვლა! ამისთვის მთელი წიგნი დამჭირდებოდა. სასტიკეე შიგნით, სასტიკეე გარეგ... სასტიკეე თამაშობისთვის, სასტიკეე გაგვეთიანის არ ცოდნისათვის... ჩვენ მანქანებად გვქმნიდნენ... ერთთავად ზუზუნი... გაურკვეველ ტექსტების ზუზუნი... კატეხიზმის „გაგებიდან“, ანუ „ზეზეთვ“, რაგორც ვახსიათებდით იმ დროს ეკვდა, თუ კარგად გვექმნებოდა ხოლმე ნასწავლი.

მაგრამ მოხდა სასწაული და ბავშვები ჩასაგობაშიგე სულ სხვა ნაყოფს ვიღებდით ნელ-ნელ. ცივმა და გაროზმა მოშურობამ ჩვენ დაგვთიქრა, დაგვთიქრა იმ გარემოებამაც, რომ ქართულად გვიმღიდნენ, ლაბარაკს, ამან კი იმ შემეტნებამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენ მაინც ქართველებად დავრჩენილიყავით. აქ დაგვეხმარა სულმსაცა ქართულ ენის მასწავლებელი, [illegible] ლმერთო, რარიგ სტდიდობდა, რომ დალუბვისაგან დაგვხსენით! ბირველად მან შეგვაგნებინა, რომ ჩვენ ქართველები ვართ, რომ გვაქვს სამშობლო, რომელსაც საქართველო ჰქვიან. გაგვატნო ისტორია, უმთავრეს მეფეების მოდვაწეობა. მაგრამ ეს იყო მისი ბროგრამის გარემეტ. ბეგრჯელ, ბეგრჯელ ავუტრუმლებიგარ უკვე დაჩიტული ერმები სიმშობლოს გათხრებისა და განადგურების ალწერით სხვისა და ისმალთა შემოსევის დროს. ის უკვე ნიშანი იყო, რომ ჩვენ გმირებად გამოგსულიყავით. წარმოადგინეთ, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბავშვები უკვე ვოცნებობდით, რომ რომელიმე ერეკლეს ალგილი დაგვეჭირა რაინდობით და საქართველოს განთავისუფლებით. ჩვენ კვეხდა ჩვენი ხელნაწერი ჟურნალი. აი, ერთმა ბოეშა მოათავსა, „გორისციხე“, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ აზრი კი ის იყო, რომ ამ ციხეს ქართველი დალუბვისგან მრავალჯერ უხსნია; ლაშაზი ფორმა, ალწერილობა, თუ ციხე როგორ გადარკალვია გორაკს... აი, მეორე ათავსებს „უფლის ციხე“... ერთი სიტყვით, ჟურნალის ბროგრამად თითქმის ჩვენი მასწავლებლის სიტყვები იყო, რომელიც ეველას გულზე გვხვდებოდა, ალაცას გვთხოვდა, რაც უმალესს გვავალებდა. ჩვენც, ჩვენი გულუბრყვილო წერილებით უკვე ერთგვარ მოგლეობას ვიხდიდით სამშობლოს წინაშე და ვცდილობდით, ჯიბრზე ქართული უფრო უკვე გვესწავლა, ჩვენი სამშობლო ისტორია, ვიდრე კატეხიზმი და ბერძნულ-სლავიური გრამატიკა, რომელთაც ჩვენ სულთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა.

მაგრამ აჰა, ახალი ქარი, ახალი ტალღა... შეთვისებულნი მიმოგვფანტა სხვა და სხვა კუთხეს. არ ვიცი, ვინ სად წავიდა, ჩაჭკვა ცხოვრების მახვილმა ზოგიერთა მათგანი? მოდენა მისი სასტიკი კალი? შესრულა ერმობის განზრახვა? ან იდეალი, სამშობლოს სამსახური, ალეკვალა თუ ისევე გაჭრა, როგორც გვალვის დროს ცალ მოგრთალი სვედის დუბელი? არ ვიცი, არა, მე ის ვიცი რომ სამშობლოს შემეცნება მთელ კოსმოსის გულად გარდმექცა. რა იყო ქვეყნიერება უჩემსამშობლოდ? არაფერი! და ეს არა იმიტომ, რომ ანგარებას მოხოვდა იგი, არამედ იმიტომ, რომ... მე მისი სულის ნაწილი ვიყავი... ოჰ, ჩემო სამშობლოვ, ჩემო ბეგლუტო ოცნების საიდუმლოვ! მახსოვს, ჩემი ბატარა სამშობლო კერა ნელნელა რა რიგად გაიზარდა. მის შემეცნებაში გადიხდართ აი ის თვალწარმტაცი ბეიზაჟი, სადაც არაგვსა არა-

გვიანსა „თან მოსძახიან მთანი ტკბილნი“, შემდეგ მტკვარი რომ სიდინჯით გულში იხუტებს მის გიჟურს ტალღებს და ასე გადახლართულნი ერთად მიიმდურიან ძველის-ძველ გმირთა დუგუნდების. აი, აქ, ამ ადგილს ჩვეთქდა საქართველოს გულის ძოგები. აი, აქ, ამ ადგილს იფურჩქნებოდა ჩვენს გერდთა სამეფეო ნამგნი, რომელნიც გამოიღებდნენ ნაყოფსა სურნელოვანსა მთელს საქართველოს დასატკბობად, შესაერთებლად; აქ, ამ ადგილს მოაისმა პირველად მოტიქულთ-სწორი ნინოს ქალწული ხმა, ჭლეტრიდა იგი სამღვიოო ტრემლებს, ვიღრე ან მოხდა სასწაული და ჭექა-ქუხილით ან წამოიქცა ირმაზ და ზადენ და ირაგვის აზვიროებულ ტალღებში ან ჩაიმარხა საუკუნოდ! ამ ადგილს ნათელი იდო საქართველომ, აქვე მირონსა გადმოჭვნეთქდა სვეტი ცხოველი, აქით მოვიდნენ ათ-ოთრმეტნი მოწაფენი, ოთხნე და შიო, რომელნიც „რძითა და თაფლითო“ თაეთხთ მოწაფეობითურთ ნათელსა სცემდნენ საქართველოს! ოჰ, სანუკვარო ადგილნიო, მომხიბლველნო ირა მარეე, მთანო გორაკნო, შენც, დიდო მოწაფეო ჩვენს დიდების და დაკნინების, სვეტიცხოველო, რა რიგ დიდია ეს შენი ქარბუქით დახრილი სამლვთო ჩოხჩხი, რომელიც ესეოდენ სითბოს იძლევა დღესაც... ოჰ, დღესაც... ჩვენს ადსადგენად... სანუგეშოდ... ასამადლებლად!..

აი, მთამიწნდაც, ეს შედარ „ძწუხარი და სევდიანი“ მოწმე ჩვენი შავბედითი ისტორიისა! მისი „ადგილნი, დამოიქრებელნი, ეკურანანი და ულაბურნი“, ყოთარ წარიტაცებენ ჩემს ოიქრთა ნავს, აქ, წარსულთა სავეკეზეთა ჩისლის უბეს, სადაც საკანე ჭეშეგეს ჩვენი მამულის დამცველებმა დაწყობილი ფარნაზით და გათავგებული ერეკლეთი, რომლის სულსაც დღესაც შეგლალადებს ჩვენი ხალხი:

„ადსდეგ, გმირთ-გმირო ნუ გძინავს,
მტერთა ისმიან ხმანია“...

აი, ეს გელათი

„რომლის მშვენებას და სიტურფეს ვერ ასწერს ენა“...

ეს კიდევ ვარძია, სადაც განისვენებს ჩვენი დიდება, თამარი...

ანა, დასდუმდი ჩემო ბაგევ, წერტილი დასვი კალამო...

აი, ეს მრავალი ციხე-კოშკი, ტეეს და ლრეში მიმოფანტული სამლოცველონი, ან ის, ციცაბოზე არწივის ბუდად გადმოკიდებული სიმაგრე, რომლის ასაშენებლად ირმის რძეს ჭხმარობდნენ! ჭხედავთ... ოჰ, ხედავთ? ანა მოსთვალეად... ეოველგან აბრძოდნენ ჩვენი გმირნი.

. . . . . მამულისათვის,
ან სიფლავეცა არსად სჩანს მათთვის:
ჭეურში გაჭრა მათი სახელი,
და ანსად ვამთა მოწამე ძეგლი
ან გვიქადაგებს მათთა სიქმეთა,
დუმილნი ჩვენ ერთგულთა ძეთა!“

ოჰ, გმირთა-გმირნო, წარსულნო მამულიშვილნო, ოჰ, ციხე-კოშკნო, სიძველისა ტკბილნო მოხრობელნო, მე მესმის თქვენი ბუკ-სიფეერი, მესმის თქვენი ძახილი, თქვენი ფიცი, ბეხედავ თქვენს სახეს, ფარ-შუბეებით რაგორ ჭმსელავენ ჩვენი სამშობლოს მიწას და წყალსა? გწამდეთ, თქვენი ვარ, თქვენ მიეკვარხარო, ვით მამა-ჩემის წმინდა სიფლავი, რაგორც სიფლავი ჩემი ძმისა, ანუ ჩემის დისა, ისიც ხომ თქვენსავით გაჭრა... იქ... მორს.. მიძინების სანუკვარ ველზე! ოჰ მტკიცე ბურჯნო მშობელ ქვეყნის, ვერ დაგიფეწეთ, ვერ დაგიფეწეთ ისე, რაგორც ჩემს კამკრალს წმიდა ეროვნებას, ჩემს ბავშვობასა! თქვენი ესახელო თუ ხელმოწერილი მშვენიერების რეეული მუდამ ან დამაქვს, გულზედ მაქვს მიხუტებული. მე მას ვკითხულობ ცრემლთა ფრქვევით ეოველ წუთს და ჟამს, ვკითხულობ თქვენს ამბებს, თქვენს საარაკო ომ გადასვლას, საკმირო ლეკნელსა ეურგანაბული ვისმენ თქვენ სამლვთო დროშის ფრიალს, თქვენს უხმო ჩურჩულს, რომ გაგხდე თქვენს გულის-თქმათა ადმხატველი მკვეთრი კალამი, თქვენი სახების მოქანდაკე, თქვენი სახელის მეფანდურე, რომ მოულოდნელი აკორდია თქვენს შვილთ ჩავესხა თქვენი ცეცხლი, თქვენ ტრფობის ალი, იმიტომ, რომ თქვენ გადაჭლართეთ თაიგულად აწმყო და სამყო, იმიტომ, რომ თქვენი ადმოფრენა თვით სამშობლოს ზეიმი იყო, იმიტომ, რომ... თქვენი ტანჯვა... თქვენი მხნეობა... ზნე-ჩვეულება... თქვენი ლხინი და თქვენი კვნესა ჩვენი ზარი და ლხინი იყო, იმიტომ, რომ... თქვენ შეკვინახეთ რუსთაველის ბრილ-მჭეფი ენა, იმიტომ, რომ... მესმის თქვენი ხმა, თქვენი ზრახვა, თქვენი გულთაქმა, იმიტომ, რომ... თქვენა ჩარი ბეჭენი სამშობლოსი, ხ

დ ჩვენ — თქვენი უმტერედესი ნაკეცი... თქვენი სიცოცხლის... გაგრძელება, მომავლის ხიდი...

დამეა, დამე, ვერცხლისფერი დამე, ეს ის დამეა, რომელსაც ანგელოზი სუმბუქი ფრთეებით ეშორდება ტლანქ სხეულს, თავდავიწყებით მიეჭრის დაუსაბამოს ჟამლეც ჟუნძულზე და ურეგურად ადმოსთქვამს მუნჯ ფრინველის საკვლობელს, ვით უცნაურ ზოეზიის სიდუმლოს, რომელსაც საეკუნოებით თავზე დაჭქათქათებენ ვარსკვლავთა ხელით კოშწიად გადმოკიდებული ციურ სარტეელის თვალსახინო, მაგრამ ეკვალსათვის მიუწდომელი ჩარადენები ობლად მიუნიდი, უცხო ქვეყნად გადმოხვეწილი ვუმზერ მას, ხან ფრთებს შემოვკრავ, ავიწევი, ვარდვევ სივრცის ბჭეს, ვქელავ საზღვართა არსებობის შეძლებუ-

ლობას, თავს ვევლება ჩემს სამშობლოს გამთამგრთალს ლანდსა, ხან კი ცის ისრით განგმარული ვუმზეები ციხადის შავ-ბნელ კვარცხლბეკზე და, ვით მკლოვანრე უთმისტობთ თბოლი სული, ჩემს ფრთა ძეკვეცილს ლეკა ექსტაზს გათენებამდი ვუქსოვ ბნელს ჩადრს, ტრემლთა უელსაბამს!..

დ. კასრაძე.

ქ. ბრიუსელი. 10 მარტი
1914 წ.

ვ რ ე ს ა

გაზ. „იმერეთი“ უპასუხებს— ფედერალისტებს:

„შურ. „კლდე“ და „იმერეთი“ ერძოდ ბურჟუაზიის ინტერესების დამცველნი კი არ არიან, არამედ ისინი არიან, **ფხიზელი და შეგნებული დამცველნი სრულად ქართველი ერის ჭეშმარიტი ინტერესებისა.** და რადგან ქართველი ერი შესდგება სხვა და სხვა კლასებიდან და წოდებიდან, რომელთაც **ბევრი და მეტად ბევრი** საერთო აქვთ ეროვნულ ფარგალში, მაგ., **ენა, ტერიტორია, სულიერი და ნივთიერი კულტურა და სხ.** ამიტომ „კლდე“ და „იმერეთი“ ერთგულად ემსახურება **ქართველი ერის დიდ უმეტესობას, მუშას და საერთოდ მშრომელს ხალხს, ე. ი. გლეხებს, მუშებს, ნოქრებს, წვრილ ვაჭარ-ხელოსნებს** და **მრეწველებს, წვრილ თავად-აზნაურთ** და **სხ.** ნუ გაგიწყდებათ, რომ ისტორიის ჩარხი მარტო კლასთა ბრძოლით არა ტრიალებს. მსოფლიო ისტორიას კიდევ უფრო მეტის ინტენსიით ამოძრავებს **ეროვნული ბრძოლა,** სადაც ხშირად ერთდებიან უკიდურესი კლასები საერთო ინტერესების დასაცავად. განსაკუთრებით ეს ხდება ნებით თუ ძალით დამონებულ ერებში. ამის ნათელი მაგალითია **ჩეხია, ირლანდია, ჩინეთი, პოლონეთი, სომხეთი** და **სხ.** რადგან ისტორიის რკინის კანონი საერთოა უკელა ერისათვის, ამიტომ დღევანდელ პირობებში **ქართველ მუშის და ბურჟუას, გლეხის** და **აზნაურის** მთავარი **ინტერესები უნდა** იყოს ერთი, **ყველა ისინი უნდა იყვნენ გამსჭვალულნი საერთო მიზნით მანამდე, სანამ არ მოიპოვებენ იმას, ურომლისოდ ია ხმების, ვარდი ჭკნების“...**

ფედერალისტების დემაგოგიამ კაი ხანია საქართველოში იაც გაახმო და ვარდიც დააკარგა. ჭირსავით ეჯავრებათ მართალი, გულწრფელი და გამბედავი ხალხი, მეტადრე პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ამისთანა ვინმე საზოგადო ასპარეზზედ გამოჩნდეს, რომ მაშინვე მისდგნენ და სხვა და სხვა ვულგარული ეპიტეტები და სახელები მიაყარონ.

ჯერ იყო და ეურ. „კლდე“ მეწვრილმანე პოლიტიკოსად მონათლეს, მერე თავად-აზნაურთა იდეოლოგად, რეაქციონერად და ეხლა გაზ. „იმერეთთან“ ერთად—„ბურჟუაზიის მცველად“...ეს სიტყვა დღეს მოდაში შეიყვანეს... და ასე აშინებენ და აფრთხობენ ქართველ მკითხველს და თავბრეს ახვევენ მას „საშინელი სიტყვებით... „აი, ეს გაზეთები, მყვლეფავ ექსპლოატატორების და სხვა ამ გვარი გველაშაპ ხალხის მოსარჩლე არიანო!“ შეუგნებელი, დაშინებული ქართველი მკითხველიც ალმაცერად შეჰყურებს მათ. რასაკვირველია, ლიბერალურ დემაგოგიასაც მარტო ეს უნდა.

მაგრამ ამითი დღეს ფონს ველარ გავა...

ქართველი ხალხიც ცოტა გამოფხიზლდა და დღეს ხვალ მისი უმრავლესობა გაარჩევს ვინ უფრო ემსახურება მის თანამედროვე რეალურ ეროვნულ მოთხოვნილებათ: პოლიტიკური ქამელეონობა თუ გულწრფელი, გამბედავი და პატიოსანი ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეობა, რომელიც „ცრუ სოციალისტურ“ დროშას არ გამოიყენებს შეუგნებელ ხალხის მოსატყუებლად და გასაბრიყვებლად.

— —

რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარი კრებები, როგორც სინოდში ხმები გავრცელდა, ისევ განახლდება, რადგანაც საეკლესიო კრების მოწვევას ეშურებიანო. რასაკვირველია ამ კრებაზედ აღიძრება საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზედაც და ჩვენი სამღვდელოება, როგორც საზოგადოთ ჩვენი ერი, სრულიად მოუმზადებლად და უგულოდ ეაიდება ამ დიდ საქმეს. ჩვენი საზოგადოება თავგადადებულია პოლიტიკაზედ და იმ დიდმნიშვნელოვან საკითხზედ, რომელსაც ეწოდება ავტოკეფალია—მეტად ყურ-წაყრუებულია.

საჭირო ორგანიზაცია

დასავლეთ საქართველომ ხმა ამოიღო: გაზეთი „იმერეთი“ მოუწოდებს იმერის მოღვაწეებს მიაქციონ ყურადღება ქართულ მიწა-წყლის ბედ-შავ მდგომარეობას, გაუწიონ მას ერთგული პატრონობა და პრაქტიკულ მოქმედებასაც ხელი მოჰკიდონ. „დრო არის—სწერს გაზეთი „იმერეთი“ — ამ საკითხზე მუშაობას შევუდგეთ და სანამდი რეალურ საშუალებას გამოვძებნიდეთ, მანამდი მოვაწყოთ საადგილ-მამულო კომისია ისე, როგორც არის თბილისში“-ო.

მართლაც დროა, რომ თეორეტიული ლაპარაკი და წერა შევასუსტოთ და უფრო პრაქტიკულ მხარეს მივაქციოთ ყურადღება. საყვედურებიც მოისმის. ერთი შეკობარი მწერს: „დღეს ისეთი დღეა, შავი უკუნეთი და ქართველებისათვის საბედისწერო, რომ მარტო გაზეთები და მათში წერა კი არ გვიშველის, არამედ საქმე, რეალური, ჩვენთვის უჩვევი: პირადი და საერთო მომჭირნეობა, პრაქტიკულ საადგილ-მამულო ორგანიზაციების მოწყობა და ენერგიული მოქმედება“...

ერთი სიტყვით პრაქტიკული საკითხი ჩვენი მიწა-წყლის მოგვარება-მოწესრიგებისა საკმარისად მომწიფდა, ფართო ქართველობამ შეიგნო მათი დიდი მნიშვნელობა და ეხლა შესაძლოა გავითვალისწინოთ პრაქტიკული მხარეები ამ საჭირო და შესაფერი ორგანიზაციისა. საზოგადოთ აგრარულ საკითხს ყველა ქვეყნები ნამეტან ყურადღებას აქცევენ მეტადრე ის პატარა ქვეყნები, რომელნიც დამოკიდებულნი არიან დიდ სახელმწიფოებისაგან და მის სახელმწიფოებრივ-ნაციონალურ პოლიტიკის სისასტიკეს განიცდიან. და რაც უფრო ძლიერდება სასტიკი პოლიტიკა გაბატონებულ ერისა, იმდენად ძლიერდება წყურვილი თავის სამშობლო მიწა-წყლის დაცვა-გამაგრებისა ჩაგრულ ერში. ამითი აიხსნება ის ბუნებრივი ფაქტიც, რომ გერმანიის პოლონეთი (პოზნანი) მოფენილია მიწის მომწყობ ორგანიზაციებით, რუსეთის პოლონეთი—მიწად-მომქმედთა წრეებით (земледѣльческіе кружки) ლიტვაშია — ცნობილი „მიწის გაუმჯობესების ბიურო“ (Бюро земельныхъ улучшеній) და სხვა და სხვა.

რასაკვირველია ჩვენ ქვეყანას ყველაზედ მეტად სჭირია ამნაირი ორგანიზაციები. ვამბობ ყველაზედ მეტად, რადგანაც დღევანდელი საქართველო აგრარულ საკითხის სფეროში საშინელ კრიზისს განიცდის. ერთი მხრივ საშინლად აწეწილ-დაწეწილის მიწის მფლობელობა. ფეოდალურ ხანის ნაშთების დღევანდლამდის შერჩენილი — სიზნების, დროებით ვალდებულთა, ხაზინის გლეხების, სათემო და უიმედო მსხვილი მიწის მფლობელობა და სხვა, და მეორეს მხრივ გაშმაგებული იერიში უცხოელთა ქართულ მამულ-დედულზე. იერიში სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან!..

ამ, ჩვენი ქვეყნის ყოფნა არ ყოფნის აგრარულ საკითხის უპატრონობამ, იქამდის მიგვიყვანა, რომ დღეს ყველგან ქართველი ხალხი თავის პოზიციებს სტოვებს, უკან იწევს (კავკასიონის ქედიც კი გადალახა ამ დაწევაში!) და რა გასაკვირველია რომ ჩალა გამოვლებული რჩება და უმიწაწყლო ყაჩაღთა ბრბოებში ეწევა. საკვირველია მარტო ის, რომ ჩვენმა წარსულმა დიდ მოღვაწეებმა, რომელთაც ეს ულუმობელი ფაქტორი—ქართველი ერის მიწაწყლის დარბევა და აოხრება თვალწინ მაშინაც ედგა—არავითარი ზომები არ მიიღეს. მაგრამ რა გავამტყუნოთ ისინი... დღემდისაც კი ეს საკითხი თითქმის უპატრონოა. მარტო პრესაში თუ გაისმის ხმა და ისიც აქამდის მხოლოდ წუწუნი, თავში ცემა და... სოციალისტური რეცეპტების წერა, თითქმის მომაკვდავ,ქართულ მიწის მფლობელობისათვის ამიერ კავკასიაში. ეჭვს გარეშეა რომ აგრარული საკითხი ჩვენი ქვეყნისა ურთულესი საკითხია, რადგანაც იგი დიდ დაკვირვების, ცოდნის და მოქმედების უნარის გამოჩენას თხოულობს.

მაგრამ ნუ თუ დრო არ არის ამ „უჩვევ“ გზას დავადგეთ? ნუ თუ მართლა ისეთი დაკარგულები ვართ, რომ მოქმედების უნარის გამოჩენაც კი აღარ ძალგვიძს? არა და არა... ჩვენი უმოქმედობა, ვფიქრობ, უბრალო ძალია. ძალია რომელშიაც ჩაგვაგდო მე-XIX საუკუნის უცხოეთის ტკბილ იავნანამ. და ეხლა ვიღვიძებთ, ვიზმორებით და ხვალ ფეხზედაც წამოვდგებით.

მაგრამ შევუდგეთ საგნის განხილვას. რა საშუალებითაა შესაძლო ამ ზემოხსენებულ მთავარ საკითხის მოვლა პატრონობა? ვინ უნდა იყვნენ დარაჯნი ჩვენი მიწა-წყლის დაცვა-გამაგრებისა? რა სახისა და რა ხასიათისა? აი ის კითხვები,რომელნიც ძალა უნებურად გვებადებიან, როცა ვუახლოვდებით მის განხილვას. შარშან ჩემს წერილებში „მწვავე საკითხი“, (№ 4, 5 და 7) მე ამავე საგანს ვეხებოდი და სხვათა შორის იმ დასკვნამდე მივედი

რომ ჩვენ აგრარულ ცხოვრების სათავეში „უნდა ჩადგნენ — საადგილ მამულო კომიტეტები (ანუ კომისიები) სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი, სამეურნეო-სამელიორაციო კრედიტი და სახალხო კოოპერატიული დაწესებულებანი“. ეს დასკვნა დღესაც უცვლელია, რადგანაც ეს დაწესებულებანი საკმაოდ ძლიერნი არიან, რომ შესაფერისად და გვარიანად გაუძლვნენ მიწის საკითხის მოგვარებას. მე აღარ გავიმეორებ იმას, რაც ვსთქვი წინა წერილებში. მით უფრო, რომ ამ ჩემი წერილის საგანს შეადგენს მთავარ ორგანიზაციის საკითხის განხილვა-გაშუქება. მე მოგახსენებთ საადგილ-მამულო კომისიების მოწყობაზედ ქართლ-კახეთში და იმერეთში.

აშკარაა, რომ დახლართული ქართული აგრარული საკითხი მეტად საჭიროობს განსაკუთრებულ ყურადღებას და განსაკუთრებულ ორგანიზაციების მოწყობას. როგორც ზევითაც ვამბობდი, ასეთი ორგანიზაციები დიდ როლს თამაშობენ პატარა დამოკიდებულ ერთა ცხოვრებაში და ერთ ერთ უმთავრეს ორგანიზაციებად ითვლებიან. ზოგი ერთ ქვეყნებში, სადაც საერობო თვითმართველობანი არა აქვთ, ხსენებული ორგანიზაციები ისე გაძავრდნენ და მასთან გააფართოვეს თავისი მოქმედება, რომ პატარა საერობო დაწესებულებად გარდაიქცნენ, დიდი გავლენა მოიპოვეს მთავრობის მმართველ წრეებში და თავის ქვეყნისათვის თვალსაჩინო სარგებლობაც მოაქვთ. ასეთ შესანიშნავ დაწესებულებად დღეს, მაგალითად, ითვლება ლატიშთა მიწის გაუმჯობესების ბიურო“ (Лифляндско-Эстляндское юро земельныхъ улучшеній). ხსენებული ბიურო ინახება ადგილობრივ თავად-აზნაურობის ხარჯით და 12 წელიწადია კიდეც რაც მოქმედობს. არ შეიძლება ჩვენი მკითხველის ყურადღება ამ დაწესებულების თვალსაჩინო და სამაგალითო მოქმედებას არ მივაქციოთ, მით უფრო, რომ მისი გაცნობა გზას გაუშუქებს იმ ჩვენს ანალოგიურ ორგანიზაციებს, რომლის მოწყობას დღეს ჩვენ ვაპირობთ. ამიტომ შემდეგ წერილში ხსენებულ ბიუროს მოქმედებაზე ცოტათი შევჩერდებით.

დ. კახელი.

„ამაო შრომა და ოფლი!“

(ბიბლიოგრაფიის მაგიერ).

მოვესწარით ბ. იშხანიანცის წიგნსაც...
საუცხოვო წიგნია...
ფასი წიგნისა — ორი აბაზია.
სუფთად არის გამოცემული.
და იყიდება „გუტენბერგის“ მაღაზიაში.
წადით, იყიდეთ და წაიკითხეთ.

ქართველ კაცისათვის ეს წიგნი ძალიან საინტერესო და საყურადღებოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს წიგნი იმ ფარდას ხსნის, რომელიც აქამდის ჰფარავდა საქართველოში მცხოვრებ სომეხ ბურჟუაზიის ფარულ სულისკვეთებას.

ბ. იშხანიანცის აზრით საქართველო აღარ არსებობს, რადგანაც:

ქართველი გლეხები ღარიბი და პასიური მასაა,

ქართველობას მეწველები არა ჰყავს,
მესამე წოდება — არა ჰყავს,
ქართველი თავად-აზნაურობა გაპროლეტარიატდა და არავითარ ძალას აღარ წარმოადგენს.

და საზოგადოთ „ქართველი ერის სინამდვილეშ დაიგვიანა და საკუთარის ძალ-ღონით ვერას გახდება აღორძინებულ ეკონომიურ ცხოვრებაში“.

ამიტომ - დასძენს ავტორი — კარი გაუღეთ და გზა მიეცით სომხის ბურჟუაზიას!

გზა მიეცით სომხის კულტურის წინმსვლელობას!

აი დედა აზრი ამ შესანიშნავ წიგნისა.
ბრძნული აზრი!
გასუქებულ სომხის აზრი.
გჭამ და კიდევაც მომეხმარეო!
საუცხოვო წიგნია ბ. იშხანიანცის წიგნი.
ქართველებო!

წადით, იყიდეთ ეს წიგნი, წაიკითხეთ და შეისმინეთ.

პასუხი კი ათის წლის შემდეგ გაეცით...
პასუხი ამაყი...
პასუხი ძლიერი...

რომ ქართველი ერი სცხოვრობს, მოქმედობს, ეწყობა...

და კარებს უკეტავს ბ. იშხანიანცების მადიან პოლიტიკას...

მაშინ თვით ავტორი ნათლად იგრძნობს, რომ მისი ორ აბაზიანი წიგნი იყო მართლ „ამაო შრომა და ოფლი!“

ეკალი.

კოოპერაციის მნიშვნელობა

თანამედროვე კაპიტალისტურმა წარმოებამ ძირიან-ფესვიანად შესცვალა ძველი პატრიარქალურ-ფეოდალური ცხოვრება. მან კლასებად დაანაწილა მთელი საზოგადოება; წარმოიშვა ორი უმთავრესი კლასი, რომლებიც ეკონომიურ ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდნენ და ერთი მეორეს დაუპირდაპირდნენ. ერთი მხრივ იმატა და დღითი-დღე მატულობს სიმდიდრე, რომელიც გროვდება კაპიტალისტების და მსხვილ მემამულეთა ხელში და მეორე მხრივ, სწრაფად იზრდება სიღატაკე აუარებელ მუშათა და წვრილ მეურნეთა.

ასეთი პროცესსი კაპიტალისტური წარმოების მსვლელობისა და მისი ზრდა-განვითარებისა გამოიწვია არა რომელიმე ჯგუფის, კლასის, ანუ მთელი საზოგადოების შეგნებულმა ნება-სურვილმა, არამედ საწარმოვო იარაღების თანდათანმა გაუმჯობესებამ და აქედან წარმომდგარმა შედეგებმა. ამის გამო კაპიტალისტური წარმოების პროცესი ცხოვრების გულის სიღრმეში ჩაისახა და იქ იწყო განვითარება სტიქიურად, ყრუდ, საზოგადოების შეუმჩნეველად და შეუგნებლად. როგორც ამ პროცესისაგან გამოწვეული კლასები, ისე თვითეული მათი წევრი, ბრმა იარაღი შეიქმნა ამ სტიქიური პროცესის ზრდა-განვითარებისა, რომელმაც დაიმონა, დაიმორჩილა ისინი და თავისებურად აამოძრავ-აამოქმედა. ამნაირად საზოგადოება, რომელმაც განავითარა და გააუმჯობესა საწარმოვო იარაღები, რომელმაც შეჰქმნა სხვა და სხვა საწარმოვო მანქანები და სხვა, თვითონვე შეიქმნა დამონებულ-დამორჩილებული თვისივე შემოქმედებისა. თანამედროვე საზოგადოება შეგნებულად კი არ განაგებს და აწესრიგებს თავის ეკონომიურ ცხოვრებას, არამედ ეკონომიური ცხოვრების სტიქიური, მისი ბრმა-ყრუ მსვლელობა განვითარება მართავს და განაგებს მთელი საზოგადოების ბედ-ილბალს.

ასეთმა საერთო მდგომარეობამ დაბადა ის ანარქია, არეულ-დარეულობა და მოუწესრიგებლობა ეკონომიურ წარმოებაში, რომელიც დღეს აშკარაა ყველასათვის. ეკონომიური ცხოვრების ქაოტიური მდგომარეობა და ანარქიაა მიზეზი იმ თავზარდამცემი პერიოდული კრიზისებისა, რომლებიც მოულოდნელად თავს ატყდებიან საზოგადოებას, ძირ-ფესვიანათ არყევენ მთელ მის ეკონომიურ ცხოვრებას და ანადგურებენ აუარებელ წარმოებათ. კრიზისები შედეგია კაპიტალისტური წარმოების მოუწყობლობა-მოუწესრიგებლობისა; განსაკუთრებით კრიზისები ააშკარავებენ არსებულ ანარქიას წარმოებაში; მათში, ვით სარკეში, ... თავისი სიგძე-სიგანით თავს იჩენს ხოლმე ანარქიულ-ქაოტიური სახე კაპიტალისტური წარმოებისა.

მუშა ხალხის და წვრილ მწარმოებელთა სიდუხჭირემ, რომელიც კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად თვალსაჩინოდ იზრდებოდა, იმ თავითვე მიიზიდეს საზოგადოების ყურადღება, მისმა საუკეთესო წევრებმა დაიწყეს ისეთ სახსარ-საშუალებების ძებნა, რომლების შემწეობითაც შეიძლებოდა არსებულ სიღატაკე-სიდუხჭირის მოსპობა. ანუ შემცირება. აქედან წარმოსდგნენ სხვა და სხვა სოციალისტური მოძღვრებანი, რომლებიც სხვა და სხვა წამალს იძლეოდნენ დაავადებული საზოგადოების განსაკურნებლად. ერთნი, ე. წ. უტოპიური სოციალიზმის მაღიარებელნი, საზოგადოებას აწვდიდნენ უნიადაგო, ცხოვრების შეუფერებელ და შეუსაბამებელ რეცეპტებს, რომლებითაც ისინი ცდილობდნენ კაპიტალისტური ცხოვრების წყლულების დაშოშმინებას და მორჩენას; მეორენი, ე. წ. მეცნიერული სოციალიზმის მიმდევარნი, მოითხოვდნენ რადიკალურ საშუალებას, კერძო საკუთრების მოსპობას და მაზე დაფუძნებულ კერძო კაპიტალისტურ წარმოების განსაზოგადოებრივობას.

აი ასეთ მიმდინარეობებთან ერთად მათ გავლენის ქვეშ სხვაგან შორის დასავლეთ ევროპაში დაიბადა და განვითარდა კოოპერატიული მოძრაობაც.

კოოპერატიული მოძრაობა სხვა და სხვა სახით ისე გაიზარდა და განვითარდა იქ, რომ ის დღეს წარმოადგენს ცხოვრების ძლიავრ ფაქტორს, რომელსაც ანგარიშს უწევენ. კოოპერატივებს აქვთ მილიონები და ჰყავთ ასი-ათასობით წევრები.

მე აქ არ გამოუდგები კოოპერაციის ისტორიულ ზრდა-განვითარებას, არც მის თეორეტიულ ახსნა-განმარტებას, რადგანაც ეს შორს წაგვიყვანდა და ჩვენ თემასაც აგვაცდენდა. ვიტყვი მხოლოდ, რომ კოოპერაციამ მდიდარი ნიადაგი მოიპოვა და ღრმა ფესვები გაიდგა დღევანდელ ანარქიულ ცხოვრების პირობებში; ამისათვის საჭიროა გათვალისწინება იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას და რა ნაყოფი შეუძლიან მოუტანოს საზოგადოებას მის ზრდა-განვითარებამ.

კოოპერაცია,—ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით,—ნიშნავს შეთანხმებულს მოქმედებას, თანამშრომლობას. ამნაირად კოოპერატიულად მოქმედებენ ყველა ის ცხოველები და მწერები, რომლებიც ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის მუშაობენ. არსებობისათვის ბრძოლის სიმკაცრე და სისასტიკე ინსტიქტიურად აიძულებს მათ შეერთებას, თავის საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებას და შეთანხმებულად მოქმედებას. ასეთი მოქმედება მათ ინდივიდუალურ სუსტ ძალღონეს აერთებს, აძლიერებს და მით გამარჯვებას ანიჭებს ყოველ-დღიურ სასტიკ ბრძოლის პროცესში. კოოპერატიულად იბრძოდა არსებობისათვის პირველდელი ადამიანიც, რომელიც მხოლოდ შეერთებული ძალღონით იგერიებდა სხვა ცხოველების თავდასხმას და ასეთივე საშუალებით შოულობდა არსებობისათვის აუცილებელ საზრდოს.

კოოპერაცია,—ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით, ნიშნავს ნებაყოფლობით შეერთებულ-შეთანხმებულ პირთა კავშირს ეკონომიური ცხოვრების სარბიელზე, რომელსაც მიზნად დაუსახავს მის შემადგენელ წევრთა მეურნეობის საერთო ძალ-ღონით წარმოება და მით ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესება.

ამნაირად, კოოპერაციის მნიშვნელობა, პირველ-ყოვლისა გამოიხატება ეკონომიურ ცხოვრების სიდუხჭირის შემსუბუქება-შემავათიანობაში. ყოველგვარი კოოპერაცია, როგორც საკრედიტო, ისე მომხმარებელი, მწარმოებელი და სხვა აერთებს და აკავშირებს რა საზოგადოების ღარიბ ელემენტებს, ამძლავრებს მათ მატერიალურად და ნაკლებ დამოკიდებულად ხდის მათ ვაჭარ-მრეწველთა და მევახშე კაპიტალისტებისაგან. საკრედიტო კოოპერაცია ებრძვის მევახშეებს, რომლებიც მამა-სისხლათ ასესხებენ თავის კაპიტალს; მომხმარებელი კოოპერაცია ებრძვის ვაჭრებს, რომლებიც ერთი-ორად და სამად ჰყიდიან უვარგისს საქონელს; მწარმოებელთა კოოპერაცია საერთო ძალ-ღონით აწარმოებს საქონელს, თვითონვე გააქვს ის ბაზარზე და სხვა.

მეორეთ, კოოპერაცია აწესრიგებს ეკონომიურ ცხოვრების პირობებს; ზევით ნათქვამი იყო, რომ კაპიტალისტური წარმოების დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ანარქია, მოუწესრიგებლობა. კაპიტალისტური მწარმოებელი ამზადებს საქონელს ბაზრისათვის, რომლის მდგომარეობა მისთვის გამოურკვეველი და გაუთვალისწინებელია. მან წინდაწინვე არ იცის, იქნება თუ არა მისგან დამზადებულ საქონელზე ჯეროვანი მოთხოვნილება; არ იცის რა ფასში გაიყიდება მისი საქონელი, ან გაიყიდება თუ არა; მან არ იცის, თუ სხვა მწარმოებლები რამდენს გამოიტანენ იმ გვარივე საქონელს. მას ასე ვსთქვათ, ალალ ბედზე გამოაქვს თავისი საქონელი და დაბეჯითებით არ იცის მოიგებს, იზარალებს, გაჰყიდის, თუ ვერ გაჰყიდის. ასეთი ალალ-ბედობა, ბრმა-ყრუობა გამოუცნობ-გამოურკვეველ ბაზრისა, რომელიც ასეთ პირობებში სტიქიის ხასიათს ღებულობს, სტიქიონურად განაგებს მწარმოებელთა ბედ-იღბალს, რომელმაც შეიძლება გაუღიმოს, შეიძლება ცარიელზედაც დასვას ისინი.

აი ამ სტიქიურ ანარქიას ებრძვის კოოპერაცია, რომელსაც წესრიგი და თავდარიგი შეაქვს ქაოტიურ ცხოვრების ეკონომიურ პირობებში. კოოპერაციის წყალობით ბაზარი წინდაწინვე ზედმიწევნით გარკვეულ და განსაზღვრულ სახეს ღებულობს. კოოპერატიულად შეკავშირებული მომხმარებლები გვერდით უვლიან მათ და მწარმოებელ შუა მდგომ ვაჭარს და საქმეს იჭერენ პირდაპირ მწარმოებელთან, რომელმაც წინდაწინვე იცის თავისი საქონლის ბაზარი, იცის მისი ფასიც და მით უზრუნველ-ყოფილია საზოგადოთ ბაზრის მოულოდნელ რყევისაგან და მისი სტიქიონური მღელვარებისაგან. მეორე მხრივ თვით მომხმარებელნიც ბრმა-ყრუთ არ აწყდებიან ბაზარზე აქეთ-იქით და არ დაეძებენ საქონელს. მათ კოოპერაციის საწყობებში აქვთ თავისი საქონელი, რომლის ღირსება და ღირებულება კარგად იციან; ამით ისინი უზრუნველ-ყოფილნი არიან თავ-ნება ვაჭრების დაუნდობელ ბრჭყალებისაგან. გარდა ამისა კოოპერაციით შეკავშირებული მწარმოებლები და მომხმარებლები კრიზისების მწვავე გავლენასაც ნაკლებ განიცდიან, რადგანაც კოოპერატორები შეგნებულად და ორგანიზაციულად ეწევიან თავის ეკონომიურ ცხოვრებას და მის დუხჭირ პირობებიდგან მეტნაწილად გამარჯვებულნი გამოდიან. კოოპერაციების გარეშე მდგომნი კი დაბნეულად რჩებიან ბრმა-ყრუ ეკონომიურ ცხოვრების შემთხვევების ამარა, სასტიკად მარცხდებიან და იჩაგრებიან.

მესამედ, კოოპერაცია ორგანიზაციულად თავს უყრის მუშებს და სხვა და სხვა წვრილ მწარმოებლებს. კოოპერაციას წესრიგი, თავდარიგი და დისციპლინა შეაქვს თვით მათ საზოგადოებრივს და კერძო ცხოვრებაში. ამნაირად, კოოპერაცია წარმოადგენს ცხოვრების საუკეთესო აღმზრდელ სკო-

ლას, რომელიც ჯეროვანად წვრთნის და მწყობრად და წესიერად მოქმედებას ასწავლის წევრებს. ისინი საერთო ძალ-ღონით ებრძვიან კაპიტალისტებს და ამ ბრძოლიდან მეტ ნაწილად გამარჯვებულნი გამოდიან, ერთი-მეორესთან დაპირდაპირებულ შრომისა და კაპიტალის ბრძოლაში კოოპერაცია წარმოადგენს ერთ მძლავრ იარაღთაგანს, რომლის საშინელებითაც წვრილი მწარმოებლები და მუშები თავს იფარავენ მოწინააღმდეგეთა თავდასხმისაგან და თვით ესხმიან მათ თავს. კოოპერაცია ბევრათ ასუსტებს შეუძლებელ ელემენტებს ეკონომიურ დამოკიდებულობის კაპიტალისტებისაგან.

მეოთხეთ, კოოპერაცია როგორც გონებრივად, ისე ზნეობრივად ანვითარებს და ათვითცნობიერებს მშრომელ ხალხს; ის საერთოდ მაღლა სწევს მათ კულტურულ-განვითარების დონეს; მისი საშუალებით კოოპერატორები იარსებენ სკოლებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, თეატრებს და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ მათ და მათ ოლშვილს კულტურის ნაყოფი იგემონ.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა, ნათქვამიდანაც უკვე ნათლადა სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერატიას ღარიბი ელემენტების ცხოვრებაში.

მით უფრო დიდი მნიშვნელობა და მომავალი აქვს მას საზოგადოთ რუსეთში, რომელიც წვრილ მწარმოებელთა და წვრილ მეურნეთა ქვეყანას წარმოადგენს. განსაკუთრებით კი დიდი მნიშვნელობა აქვს მას ჩვენთვის ქართველებისათვის, რომლების საერთო სიღატაკე დღეს ყველასათვის აშკარაა, კოოპერაციას საუკეთესო ნიადაგი აქვს ჩვენს თავგზა დაბნეულს ცხოვრებაში; მის ზრდა-განვითარებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია და დიდი მომავალიცა აქვს. რადგანაც კოოპერაცია ერთი საუკეთესო გზა და საშუალებათაგანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-კულტურულ დონის ასაწევათ.

კოოპერაცია, როგორც ახალი მოვლენა, თეორეტიულად ჯერ კიდევ გამოურკვეველი და ჯეროვანად დაუფასებელია. პრაქტიკულად კი მისმა ზრდა-განვითარებამ დიდი ნაყოფი და სარგებლობა დაგვანახვა.

ამისათვის საჭიროა მისი თეორეტიულად და პრაქტიკულად შესწავლა. საჭიროა მისი საშუალებით და სხვა გზებით ოვით-ცნობიერების შეტანა კაპიტალისტურ მკაცრ დარჯაკებში ჩაჭედილ საზოგადოებაში, რომელიც სტიქიურ ეკონომიურ ცხოვრების სათამაშო ტიკინად, მის ბრმა იარაღად გადაქცეულა. დღევანდელ ცხოვრების ქაოტიურ პირობებში არავინ არ არის დარწმუნებული ხვალინდელს დღეში; არავინ არ არის უზრუნველ-ყოფილი; ეკონომიური ნიადაგი ფეხ-ქვეშ ყველას ერყევა. ცხოვრების კიბის საფეხურები ყველასათვის ლიპი და დაუდეგარია; ამიტომაც ყველა კანკალებს ბრმა-ყრუ ცხოვების წინაშე, რომელიც ვინ იცის ხვალისთვის ვის რას უმზადებს!..

ადამიანი, რომელიც ბუნების გვირგვინად და მეფედ არის აღიარებული, რომელმაც დაიმორჩილა ბუნება ყველა თავისი სტიქიონური ძალებით, ადამიანი, რომ-ლიც ფრინველსავით ბრუნვას, ტრიალებს და ნავარდობს ჰაერშიაც კი,—ძირს დედამიწაზე კვლავ მონად დარჩენილა თავისგანვე შექმნილ ეკონომიურ ცხოვრების სტიქიისა, რომელიც მას თავისი ტალღებით ნაფოტსავით ათამაშებს; დღეს მაღლა აისვრის, ტალღის ქეჩოზე მოიქცევს მას, ხვალ კი შეუძლია ის თავის უფსკრულში ჩასტყორცნოს!..

ასეთი დაუდეგარი და დაუნდობელია ეკონომიური ცხოვრების ზღვა!..

მას შეუძლია თავის უფსკრულში შთანთქას ყველა, განსაკუთრებით კი ეკონომიურად სუსტი, დაქსაქსული ელემენტები; მას შეუძლია თავის მოულოდნელი ტალღის ერთი დაკვრით თქვენი ბედნიერება და კეთილ-დღეობა დაამსხვრიოს და წალეკოს; მას შეუძლია თავის ერთი სტიქიური შებერვით თქვენი სიმშვიდე და მოსვენება დაარღვიოს, ძირს დაგცეთ და ფეხით გაგთელოსთ!

ასეთ საზარელ პირობებში დღეს დღეობით ხსნა, სხვათა შორის, კოოპერაციებშია, რომლის მძლავრ და მტკიცე ორგანიზაციის ქვეშ შეგიძლიათ თავი შეაფაროთ, და ვით საუკეთოვ ნავთ-საყუდელში, და მით იხსნათ თავი გამძვინვარებული ეკონომიური ცხოვრების სტიქიისაგან!..

ი. ირემაშვილი.

ქ. კუეკი.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲥᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

„ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ“

ᲐᲮᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗ.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის. გაზეთის ფასი: ერთი წლით — 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით — 80 კ. **ცალკე ნომერი ერთი შაური**

ადრესი: Кутаисъ, редакція газ „Имерети“.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ-ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ, ᲗᲔᲐᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲜᲘᲐᲜᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲚᲕᲠᲔᲑᲐ“

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ-ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲓ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲔᲜ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲬᲘᲒᲜᲝᲑᲐᲠᲜᲘ, ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲜᲘ, ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲜᲘ, ᲛᲒᲝᲡᲐᲜᲜᲘ, ᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠ-ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲜᲘ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ 5 Მ. (ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲔ — 4 Მ.) ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲗ 3 ᲛᲐᲜ. ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ. ᲤᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ-ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗ. ᲓᲠᲐᲛᲐᲢ. ᲡᲐᲖᲝᲒ. ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ („ᲡᲝᲠᲐᲞᲜᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ).

1894 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ

1914 ᲬᲚᲐᲛᲓᲘᲡ

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲦᲘᲜᲝᲓ ᲘᲗᲒᲚᲔᲑᲐ ᲓᲦᲘᲜᲝ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲙᲐᲮᲔᲗᲘ“-ᲡᲐ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: № 73 ᲓᲐ 3—51.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲒᲝᲒᲝᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 63 ᲓᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ.

ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ: ᲑᲐᲥᲝᲨᲘ, ᲐᲡᲮᲐᲑᲐᲓᲨᲘ, ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲗᲨᲘ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ, ᲠᲐᲡᲢᲝᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲮ.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ-ᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ს. ᲚᲝᲡᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 5.